ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2141157

ნომერი: AR1331278

თარიღი : 31.07.2015

გაცემის თარიღი : 17.08.2015

გაცნობის თარიღი : 21.08.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება აეროდრომი , ქუჩა IV , N 3 , (ნაკვ. 4/25) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ლოსაბერიძე პ/ნ 01005006844
- თბილისი დავით ყიფიანის ქ. N 4 კორ. 1 ბ. 78

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 24/07/2015 წლის #2029501 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა დავით ლოსაბერიძის

31/07/2015 წლის AR1331278 განცხადება, რომლითაც მოითხოვეთ ამავე სამსახურის 24/07/2015 წლის #2029501 ბრძანებაში ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით ხარვეზის გასწორება.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 24/07/2015 წლის #2029501 ბრძანებით, ქ. თბილისში, სექტორი–სამგორი, დასახლება აეროდრომი, ქუჩა IV, N3, (ნაკვ. #4/25) შპს "ბაუ სტარი"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი #01.19.36.004.025) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 24 ივლისიდან 2016 წლის 24 დეკემბრის ჩათვლით.
დღეისათვის განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 24/07/2015 წლის #2029501 ბრძანებაში ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით ხარვეზის გასწორებას და საცხოვრებელ ფართობად 3299,1 კვ.მ–ის დაფიქსირებას.
წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები სამსახურმა შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ ნახაზებს და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა მართებულია. ამასთან, საცხოვრებელი ფართობის ცვლილება იწვევს საერთო ფართობის გაზრდასაც, რომელიც ცვლილების შემდეგ შეადგენს 4982,72 კვ.მ–ს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. მოცემულ შემთხვევაში გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე და 63–ე მუხლების თანახმად,
ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს დავით ლოსაბერიძის 31/07/2015 წლის AR1331278 განცხადება;
2. გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 24/07/2015 წლის #2029501 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებში საცხოვრებელი ფართობად დაფიქსირდეს 3299,1 კვ.მ; საერთო ფართობად– 4982,72 კვ.მ; სხვა მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 24/07/2015 წლის #2029501 ბრძანებასთან ერთად;
4. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, #6), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.